პროექტი

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და შესაბამისი დასაბუთება/განმარტება

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 06/07/2001) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, მედიაციაში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

არსებული ჩანაწერი არ მოიცავს ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობას მედიაციის პროცესში. შესაბამისად, ჩამონათვალს ემატება სიტყვა **„მედიაციაში“**, რაც მუხლის ჩამონათვალს უფრო ზუსტს და ამომწურავს ხდის.

2. მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ადვოკატს უფლება აქვს:

ა) წარმოადგინოს კლიენტი, მათ შორის, დაიცვას მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო~~, უზენაეს~~ და საერთო სასამართლოებში, მედიაციაში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და მესამე პირებთან ურთიერთობისას.

ბ) კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები საჯარო უწყებებისგან, მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან და მესამე პირებისგან.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

„ა“ ქვეპუნქტის არსებული ფორმულირება ვიწროა და არ შეესაბამება მე-2 მუხლს. შესაბამისად, „ა“ ქვეპუნტს ემატება როგორც **მედიაცია**, ასევე ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობა **სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და მესამე პირებთან ურთიერთობაში.**

ამასთან, „ა“ ქვეპუნქტის არსებული ჩანაწერის - **„წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები...“** - ნაცვლად, შემოთავაზებული რედაქციით გაჩნდება ჩანაწერი - **„წარმოადგინოს კლიენტი, მათ შორის, დაიცვას მისი უფლებები და თავისუფლებები...“**, რადგან დაცვა არის კლიენტის წარმოდგენის ერთ-ერთი ფორმა და არ უნდა იყოს „და“ კავშირით დაკავშირებული ზოგად ცნებასთან.

„ბ“ ქვეპუნქტის არსებულ ჩანაწერს, დაზუსტების მიზნით, დაემატა შემდეგი ჩანაწერი - **„...საჯარო უწყებებისგან, მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან და მესამე პირებისგან“** - ვინაიდან არსებული ჩანაწერი არ არის სრულყოფილი და მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს, ვის გააჩნია ვალდებულება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიაწოდოს ადვოკატს დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები.

3. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას და არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია გასული დროის მიუხედავად.
2. პროფესიული საიდუმლოება ეხება ნებისმიერ და ყველა სახის ინფორმაციას კლიენტის ან კლიენტის საქმის შესახებ, რომელიც ადვოკატს გადაეცემა კლიენტის მიერ, ან რომელსაც ადვოკატი მიიღებს სხვა პირებისგან, ადვოკატის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულების პროცესში. პროფესიული საიდუმლოება ასევე ვრცელდება ადვოკატის მიერ მომზადებულ ყველა სახის დოკუმენტზე და ნებისმიერ იმ დოკუმენტსა თუ კომუნიკაციაზე, რომელიც ადვოკატის მიერ მიეწოდება კლიენტს.
3. პროფესიული საიდუმლოება ვრცელდება როგორც სასამართლო წარმომადგენლობაზე, ასევე სხვა ნებისმიერი სახის საადვოკატო საქმიანობაზე.
4. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთანავე, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა.
5. ადვოკატი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე ანგარიშგების ფორმას აგზავნის იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება

მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრულ პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს.

6. ადვოკატს ~~შეუძლია~~ უფლება აქვს გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ:

ა) კლიენტის თანხმობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას.

7. ადვოკატი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისმა სტაჟიორმა, თანაშემწემ, თანამშრომელმა, ასევე სხვა პირმა, ვისთანაც იგი თანამშრომლობს პროფესიული ვალდებულებების შესრულების პროცესში, დაიცვას ამ მუხლით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების მოთხოვნები.

8. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

აღნიშნული მუხლი შინაარსობრივად არსებითად არ განახლებულა კანონის მიღების შემდეგ, რის გამოც მისი ფორმულირება წინააღმდეგობაში მოდის პროფესიული საიდუმლოების ევროპულ და საერთაშრისო სტანდარტებთან. კერძოდ, არსებული ფორმულირებით კონფიდენციალური ინფორმაციის ფარგლები ძალიან ვიწროა, რადგან კონფიდენციალურ ინფორმაციად მიჩნეულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მიღებულია კლიენტისაგან და დაკავშირებულია მოცემულ საქმესთან, ხოლო „ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს“ (CCBE) პლენარული სესიის მიერ 2016 წლის 2 დეკემბერს მიღებული „ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს კონფიდენციალობის შესახებ სამოდელო დოკუმენტის“ მიხედვით:

ა) კონფიდენციალურია ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მიღებულია კლიენტისაგან, და არა მხოლოდ მოცემულ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ბ) კონფიდენციალურია ყველა ის ინფორმაცია კლიენტის ან კლიენტის საქმის შესახებ, რომელიც მიღებულია ადვოკატის მიერ საკუთარი პროფესიული მოვალეობების შესრულების პროცესში, აღნიშნული ინფორმაციის წყაროს მიუხედავად (რაც ნიშნავს, რომ მესამე პირისაგან კლიენტის შესახებ, ან კლიენტის საქმის შესახებ მიღებული ინფორმაცია ასევე კონფიდენციალურია);

გ) კონფიდენციალურია არა მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო, არამედ ასევე ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მან გასცა, კერძოდ, ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია ადვოკატის მიერ, მიწოდებულია ადვოკატის მიერ მისი კლიენტისათვის, და ყველა კომუნიკაცია ადვოკატსა და მის კლიენტს შორის, მათ შორის, ელექტრონული ფორმით.

ამასთან, CCBE-ის პლენარული სესიის მიერ 2016 წლის 2 დეკემბერს კონფიდენციალობის შესახებ მიღებული „ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს სამოდელო დოკუმენტის“ მიხედვით, კონფიდენციალობა იმავდროულად წარმოადგენს ადვოკატის უფლებას, რაც ნიშნავს, რომ დაუშვებელია ადვოკატის იძულება გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია მაშინაც კი, თუ ამაზე თანახმაა მისი კლიენტი და თუ იგი მისცემს მას აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების მითითებას.

CCBE-ის აღნიშნული სტანდარტები სრულად არის ასახული ცვლილების პროექტით შემოთავაზებულ რედაქციაში.

4. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.
2. ~~ადვოკატს უფლება არ აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.~~ ადვოკატს ეკრძალება ორი ან მეტი კლიენტის სასარგებლოდ საადვოკატო საქმიანობა თუ ამ კლიენტების ინტერესები შეუთავსებელია.
3. ადვოკატს ეკრძალება კლიენტისთვის იურიდიული რჩევის მიცემა ან/და მისი წარმომადგენლობა, თუ ეს ეწინააღმდეგება ყოფილი კლიენტის წინაშე არსებულ კონფიდენციალობის ან/და სახელშეკრულებო ვალდებულებას.
4. ადვოკატს ეკრძალება კლიენტისთვის იურიდიული რჩევის მიცემა ან/და მისი წარმომადგენლობა, თუ არსებობს შეუთავსებლობა მისი კლიენტის და ადვოკატის ინტერსებს ანდა ადვოკატთან დაკავშირებული პირების ინტერესებს შორის.
5. ამ მუხლის მე-2 - მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული აკრძალვები ვრცელდება ინტერესთა კონფლიქტის მნიშვნელოვანი რისკის არსებობის შემთხვევაშიც როგორც პროფესიული მოვალეობების შესრულების დაწყებამდე, ისე შესრულების პროცესში.
7. დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მედიატორის, არბიტრის, ადვოკატის სტაჟიორის, აღმასრულებლის, მოსამართლის თანაშემწის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.
8. თუ ორი ან მეტი კლიენტისთვის პროფესიული ფუნქციების შესრულებისას წარმოიქმნება ინტერესთა კონფლიქტი, ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა ამ კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა.
9. ადვოკატებს, რომლებიც მუშაობენ ერთსა და იმავე იურიდიულ ბიუროში არ აქვთ უფლება საადვოკატო მომსახურება გაუწიონ რამდენიმე კლიენტს ერთსა და იმავე ან

დაკავშირებულ საქმეზე, როდესაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან ასეთი კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი რისკი ამ კლიენტებს შორის.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

მსგავსად მე-7 მუხლისა, აღნიშნული მუხლიც შინაარსობრივად არსებითად არ განახლებულა კანონის მიღების შემდეგ, რის გამოც მისი ფორმულირება არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან. კერძოდ, CCBE-ის პლენარული სესიის მიერ 2016 წლის 2 დეკემბერს კონფიდენციალობის შესახებ მიღებული „ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს სამოდელო დოკუმენტის“ შესაბამისად:

ა) ადვოკატს უნდა ჰქონდეს უფლება, იმოქმედოს ერთსა და იმავე საქმეზე ორი ან მეტი კლიენტის სახელით, როდესაც ამ კლიენტების ინტერესები არ მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. მაგალითად, ადვოკატს უნდა მიეცეს უფლება, მემკვიდრეობის ერთსა და იმავე საქმეზე წარმოადგინოს გარდაცვლილი მამის ქვრივი და შვილი იმ პირობით, თუ ქვრივიც და ვაჟიც თანახმა არიან, რომ ორივემ მიიღოს მემკვიდრეობა;
ბ) ინტერესთა კონფლიქტი წარმოიქმნება მაშინაც, როდესაც კლიენტის და ადვოკატის ან ადვოკატის ყოფილი კლიენტის ან ადვოკატთან დაკავშირებული პირის ინტერესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის;
გ) ინტერესთა კონფლიქტი ასევე წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ასეთი კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი რისკი;
დ) ინტერესთა კონფლიქტი ასევე უნდა ვრცელდებოდეს ერთსა და იმავე ბიუროში მომუშავე ადვოკატებზე.

შემოთავაზებული ცვლილებებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ სრულ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი CCBE-ის სტანდარტებსა და თანამედროვე გამოწვევებთან.

ამასთან, იმ უფლებამოსილებების ჩამონათვალს, რომელიც იმავე საქმეზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების აკრძალვის წინაპირობას წარმოადგენს, დაემატა **ადვოკატის სტაჟიორი,** ანუ პირი, რომელიც ადვოკატთან სტაჟირებას გადის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესული ცვლილებების შესაბამისად ამოქმედებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში.

5. მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. პირს, რომელსაც აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მოსამართლედ ან/და პროკურორად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება ან/და იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება მოეთხოვება მხოლოდ ამ

მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული ნაწილის გავლა.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

შემოთავაზებული ცვლილებით დამატებით დაწესდება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლის განსხვავებული წესი იმ პირთა მიმართ, ვისაც იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ მცირე 10 წლიანი სტაჟი აქვთ და შესაბამისად, მათი მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებისა და შეძენილი უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე შეძლებენ პროფესიაში წარმატებით ინტეგრაციას 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის საფუძველზე. მსგავსი მიდგომა კანონმდებელს უკვე გათვალისწინებული აქვს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში (მუხლი 66.21), რომლის თანახმადაც, გარკვეული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილების მქონე პირების მიმართ გამოიყენება იუსტიციის უმაღლესი სკოლის არა სრული (16 თვიანი) არამედ შემჭიდროვებული (12 თვიანი) კურსის გავლის ვალდებულება. წარმოდგენილი ცვლილებით უზრუნველყოფილი იქნება უფრო მეტად სამართლიანი მიდგომა პირთა მიმართ, გამომდინარე მათი პროფესიული გამოცდილებიდან.

6. მე-11 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

11. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას ან ამ ვადაში არ დარეგისტრირდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

აღნიშნული ცვლილება/დამატების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესული ცვლილებებით არ იქნა გათვალისწინებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების დამადასტურებელი დოკუმენტის ვალიდურობის ვადის (10 წელი) ურთიერთმიმართება ამავე ცვლილებების საფუძელზე ამოქმედებულ 1 წლიან ადაპტაციის პროგრამასთან. მაგალითად, როდესაც პირი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 9 წლისა და 3 თვის შემდეგ გადაწყვეტს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას, მან უნდა გაიაროს 1 წლიანი (გარდა გამონაკლისებისა) პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი 10 წლიან ძალას კარგავს და შესაბამისად, პირს ეზღუდება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, შემოთავაზებული ცვლილებებით საკვალიფიკაციო გამოცდების დამადასტურებელი დოკუმენტის ვალიდურობის ვადა ასევე მიბმულია პროფესიული

ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრაციასთან, რაც საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა იქნებოდა და არ გამოიწვევდა ასოციაციაში გაწევრიანების მსურველის ინტერესების შელახვას.

7. მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ადვოკატის სტაჟიორი არის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა ან მოსამართლეობის/პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა და ამ კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 9 თვიან სტაჟირებას. ~~ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულმა პირმა, რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას უნდა მიმართოს განცხადებით. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შესახებ. ადვოკატის სტაჟიორი შეირჩევა საქართველოს~~ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტაჟირება ხორციელდება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამით განსაზღვრული წესით. სტაჟირების ხელმძღვანელის შერჩევის დროს გარანტირებულია ადვოკატობის მსურველის მიერ სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის თავისუფლად არჩევის უფლება.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

აღნიშნული პუნქტის მოქმედი რედაქცია არ არის შესაბამისობაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესულ ცვლილებებთან, რომლის თანახმადაც სტაჟირება მოექცა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში და რეგულირდება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებით. შემოთავაზებული ცვლილებებით აღმოიფხვრება აღნიშნული ხარვეზი.

8. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

~~საადვოკატო სტაჟირების~~ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის პერიოდი ითვლება შრომის საერთო სტაჟსა და პროფესიული საქმიანობის სტაჟში.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესული ცვლილებებით, საადვოკატო სტაჟირების 1 წლიანი მოთხოვნა ჩანაცვლდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნით, რომელიც 1 წლიანია და შედგება 3 თვიანი თეორიული კურსისა და 9 თვიანი სტაჟირებისგან. იმის გამო, რომ 2018 წლის 4 მაისის ცვლილებების პარალელურად ცვლილება არ შესულა წინამდებარე მუხლში, მდგომარეობა საუარესოდ შეიცვალა პროფესიული

ადაპტაციის პროგრამის მონაწილე პირთათვის. სწორედ აღნიშნული მოცემულობის გამოსწორებას ითვალისწინებს შემოთავაზებული ცვლილება, რომლის თანახმადაც პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეს პროფესიულ სტაჟში ჩაეთვლება არა მხოლოდ 9 თვიანი სტაჟირების პერიოდი, არამედ სრულად - 1 წლიანი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის პერიოდი, რაც იქნება საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა.

9. მე-18 მუხლს დაემატოს 1[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:

1[1]. ადვოკატს უფლება აქვს განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა ფიზიკური პირის სახელით, რაც არ ითვლება სამეწარმეო საქმიანობად.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

შემოთავაზებული დამატებით აღნიშნული მუხლი შესაბამისობაში მოდის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტთან, რომლის მიხედვითაც „სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, ***საადვოკატო*** ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსტულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა“. ამასთან, კანონში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც დაარეგულირებს პირის უფლებას საადვოკატო საქმიანობა განახორციელოს ფიზიკური პირის სახელით/ინდივიდუალურად, საადვოკატო ბიუროს შექმნის გარეშე.

10. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. პირმა ასოციაციას უნდა წარუდგინოს შემდეგი მონაცემები:
ა) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი;
ბ) საცხოვრებელი ადგილის ან/და საადვოკატო ბიუროს მისამართები, საკონტაქტო ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
გ) ~~სპეციალიზაცია, თუ მას შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს სპეციალიზაციის მიხედვით~~. შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერთიფიკატი).
დ) პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერთიფიკატი).

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

შემოთავაზებული ცვლილებით აღნიშნული მუხლი შესაბამისობაში მოდის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესულ ცვლილებებთან. კერძოდ, წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას დაემატა პროფესიული

ადაპტაციის პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, აღნიშნულ პუნქტში შედის მცირე რედაქციული და ტერმინოლოგიური შესწორებები.

11. 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია თუ:

ა) იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის 1-ლი ~~პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით~~ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) მის მიერ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი და იგი ~~დადგენილი წესით~~ არ გაწევრიანებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან ამავე ვადაში არ დარეგისტრირებულა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად.

ბ) მას შეწყვეტილი აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა ამ კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და წევრობის შეწყვეტიდან არ გასულა 3 წელი.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

შემოთავაზებული ცვლილებებით აღნიშნული პუნქტი შესაბამისობაში მოდის ამავე კანონის მე-10 მუხლთან, მათ შორის, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნებთან, აგრეთვე, ამავე კანონის მე-11 მულის მე-11 პუნქტში შესატან ცვლილებებთან. ამასთან, „ბ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია ჩანაწერი - „დადგენილი წესით“, რათა ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე 10 წლიანი ვადა თანაბრად გავრცელდეს ადვოკატთა, მოსამართლეობის და პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდაჩაბარებულ პირებზე.

12. 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიას აქვეყნებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით. ~~ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის~~

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

შემოთავაზებული ცვლილებით აღნიშნული პუნქტიდან ამოღებულია შემდეგი წინადადება: **ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის**, რადგან მითითებული მონაცემები შეიცავს მნიშვნელოვან პერსონალურ მონაცემებს და ნებისმიერი დაინტერესებული

პირისთვის მისი საჯაროობა წინააღმდეგობაში მოდის "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონთან.

13. 21³-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

აღნიშნული ქვეპუნქტის არსებული ჩანაწერი არ შეიცავს **განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს**, რითაც წინააღმდეგობაში მოდის ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან. შემოთავაზებული ცვლილებით აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდება.

14. 21³-ე მუხლის 1-ელი პუნქტს დაემატოს „ი" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით და ამავე მუხლის მე-2 პუნქტში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ი) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შემთხვევაში.

2. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „ვ" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ, ხოლო „ა", „გ", „დ",„თ" და "ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს იღებს ცნობად.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

აღნიშნული ქვეპუნქტის დამატებით, 21³-ე მუხლის 1-ელი პუნქტი შესაბამისობაში მოდის ამავე კანონის მე-10 მუხლის 1-ელ პუნქტთან, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქეობა ადოკატისადმი ერთ-ერთ მოთხოვნად არის განსაზღვრული.

15. 23-ე მუხლი

დაემატოს 1¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

1¹. ადვოკატთა ასოციაციის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებასა და ასოციაციის ყოველდღიურ საქმიანობას უზრუნველყოფს ადვოკატთა ასოციაციის აპარატი, რომლის სტრუქტურას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს აღმასრულებელი საბჭო.

23-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ~~საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან იქმნება ადვოკატთა სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიულ გადამზადებას. ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესი განისაზღვრება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.~~ ადვოკატთა ადვოკატთა ასოციაცია წევრთა განგრძობად პროფესიულ განვითარებას ახორციელებს სასწავლო ცენტრის მეშვეობით.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

აღნიშნული ცვლილებებით ზუსტდება და ნათელი ხდება ასოციაციის სტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ კანონში არაერთხელ არის ნახსენები ასოციაციის აპარატი, 23-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ასოციაციის სტრუქტურას არ შეიცავს დებულებას აპარატის შესახებ, არამედ მოიცავს ჩანაწერს მხოლოდ სასწავლო ცენტრის თაობაზე, რომელიც სტრუქტურალად აპარატის შემადგენლობაშია.

16. 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ~~დამსწრე~~ კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება: ~~დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით~~
ა) ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;
ბ) ფარული კენჭისყრით, ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით;
გ) ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსსა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებას;
დ) ისმენს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;
ე) აწესებს საწევრო გადასახადის ფიქსირებულ ოდენობას.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

აღნიშნული ცვლილებით ზუსტდება, რომ ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევზიო კომისიის წევრების არჩევა, ისევე როგორც საერთო კრების მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღება ხდება საერთო კრებაზე **კენჭისყრაში მონაწილე** წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით და არა საერთო კრებაზე **დამსწრე წევრთა** უბრალო უმრავლესობით, რომელთა ნაწილმაც შესაძლოა არ მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა. აღნიშნული ცვლილებით აღმოიფხვრება არსებული ჩანაწერით გამოწვეული ბუნდოვანება, რომელიც ხშირად წარმოშობს პრობლემას საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს. ასევე

ზუსტდება, რომ ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევზიო კომისიის წევრების არჩევა ხდება ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

17. 26-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო:
ა) კოლეგიურად ახორციელებს ასოციაციის ხელმძღვანელობას;
ბ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს;
~~გ) ამტკიცებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო დებულებას;~~
~~დ) ამტკიცებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესს;~~
გ) ამტკიცებს ადვოკატთა ასოციაციის აპარატის სტრუქტურას და საქმიანობის წესს;
დ) ~~განსაზღვრავს~~ ამტკიცებს ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამას და მისი შესრულების წესს;
~~ვ) ამტკიცებს ასოციაციის მომდევნო წლის ხართაღრიცხვას;~~
~~ზ) გამოყოფს სახსრებს ასოციაციის საჭიროებისათვის, ადგენს სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობებს;~~
ე) ამტკიცებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამას და მისი შესრულების წესს;
~~თ~~ ვ) წელიწადში ერთხელ საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
~~ი~~ ზ) არსებული მონაცემების საფუძველზე, ამ კანონით და ადვოკატთა ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით ორგანიზებას უწევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას;
თ) არსებული მონაცემების საფუძველზე, ორგანიზებას უწევს ადვოკატის სტაჟიორთა სიის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას და გამოქვეყნებას;
~~კ~~ ი) კოორდინაციას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამტკიცებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს და საგამოცდო პროგრამას, განსაზღვრავს გამოცდის ჩატარების თარიღს;
~~ლ~~ კ) ორგანიზებას უწევს ადვოკატთა მიერ ფიცის დადებას;
~~მ~~ ლ) აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს;
~~ნ~~ მ) ამტკიცებს ასოციაციის საშტატო განრიგს, ასოციაციის თავმჯდომარისა და სხვა დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს;
~~ო~~ ნ) ამტკიცებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობისა და ადვოკატის ორდერის ნიმუშს;
ო) ამტკიცებს ადვოკატის სტაჟიორის უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობის ნიმუშს;
პ) ამყარებს საერთაშორისო კავშირებს და ურთიერთობებს ~~და ამ ურთიერთობებში არის ასოციაციის წარმომადგენელი;~~
ჟ) ~~აწარმოებს~~ ორგანიზებას უწევს ადვოკატთა და მათ სტაჟიორთა პირადი საქმეების წარმოებას;

რ) ორმხრივი თხოვნის საფუძველზე არის ასოციაციის მოდავე წევრებს ან წევრებსა და მათ კლიენტებს შორის მედიატორი ~~ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი;~~
ს) ~~გამოსცემს~~ ორგანიზებას უწევს ადვოკატთა ასოციაციის საინფორმაციო ბიულეტენისა ან სხვა პერიოდული ორგანოს გამოცემას;
ტ) ასოციაციის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს თავმჯდომარის უფლებამოსილებების დროებით განსახორციელებლად;
ტ[1]) „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად ირჩევს იურიდიული დახმარების საბჭოს 3 წევრს;
უ) ახორციელებს ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოების კომპეტენციას.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

აღნიშნული ცვლილებით ზუსტდება აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილებები იმგვარად, რომ პუნქტი აღარ შეიცავს ტერმინოლოგიურად არაზუსტ და განმეორებად დებულებებს. ამასთან, მე-7 პუნქტს ემატება ის უფლებამოსილებები, რომელიც აღმასრულებელ საბჭოს კანონმა მიანიჭა პროფესიული ადაპტაციის პროგრამასთან დაკავშირებით (მაგ. დებულების დამტკიცება, სტაჟიორთა სიის წარმოება, ა.შ.).

18. 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრი უნდა იყოს 30 წელს მიღწეული პირი, რომელსაც აქვს საადვოკატო საქმიანობის არანაკლებ 5 წლის ~~პროფესიული~~ გამოცდილება.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

აღნიშნული ცვლილება აზუსტებს, რომ ეთიკის კომისიის წევრი უნდა იყოს არანაკლებ 5 წლის **საადვოკატო** საქმიანობის გამოცდილების მქონე პირი.

19. 28-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7. ეთიკის კომისიის სათადარიგო წევრებად აირჩევიან ეთიკის კომისიის წევრობის საუკეთესო შედეგის მქონე ~~ან~~ 4 ადვოკატი და 2 არაადვოკატი კანდიდატი ~~კანდიდატები~~, რომლებმაც სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღეს, მაგრამ ვერ მოხვდნენ ეთიკის კომისიის შემადგენლობაში.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესული ცვლილებებით განისაზღვრა ეთიკის კომისიის 6 სათადარიგო წევრის არჩევა. თუმცა, ამავე ცლილებებით არ იქნა დაზუსტებული ადვოკატი და არაადვოკატი წევრების რაოდენობა სათადარიგო წევრებს შორის. შემოთავაზებული ცვლილებით ზუსტდება აღნიშნული საკითხი (4 ადვოკატი და 2 არაადვოკატი სათადარიგო წევრი).

20. 28-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13. ეთიკის კომისია უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან/და მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოსგან ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირისგან კანონით დადგენილი წესით გამოითხოვოს განსახილველ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაცია და სხვა დოკუმენტები, გამოჰკითხოს შესაბამისი ფიზიკური პირები და შეასრულოს უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელი სხვა მოქმედებები. სახელმწიფო ორგანომ და კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ინფორმაციისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების გაცემაზე უარი უნდა დაასაბუთონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

აღნიშნული ცვლილება აზუსტებს ეთიკის კომისიის, როგორც ინკვიზიციური წარმოების განმახორციელებელი კოლეგიური ორგანოს უფლებამოსილებას. კერძოდ:

ეთიკის კომისია არის დისციპლინური დევნის ორგანო, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ადვოკატების მიერ პროფესიული სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფასთან. ამისათვის კომისია სრულყოფილად შეისწავლის საჩივარში მითითებულ ფაქტებს და ახორციელებს საკითხის სრულ მოკვლევას. კომისია ადმინისტრაციული წარმოების წესების შესაბამისი დისციპლინური წარმოების დებულების თანახმად აწარმოებს დისციპლინურ საქმეს და ამ პროცესში მნიშვნელოვანია ჰქონდეს შემდეგი უფლებები (მხარის შუამდგომლობის პარალელურად): საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს საქმის რომელ მასალას გამოითხოვს, რა მასალის წარმოდგენას დაავალებს მხარეს, თავად განსაზღვროს ვის მოიწვევს მოწმის ან სპეციალისტის სტატუსით საქმეზე.

დისციპლინური წარმოება თავისი არსით ინკვიზიციურია. საპროცესო ეტაპზე მხარეების პოზიციების გამოკვლევა ხდება ცალ-ცალკე, ისინი ვერ უსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს, ვერ კითხავენ ერთმანეთის მოწმეებს, რადგან მიმდინარეობს მხარეთა პოზიციების საფუძვლიანობის შემოწმება. ეს პროცესი არ არის შეჯიბრებითი და კომისია ამ ეტაპზე არის არა შემფასებელი, არამედ ფაქტების მთავარი მკვლევარი და კომისიის ჩართულობისა და მისი ინიციატივით საპროცესო მოქმედებების განხორციელების გარეშე შეუძლებელი ხდება საქმის ფაქტების დადგენა, რაც წარმოებას ხდის ფორმალურს. შესაბამისად, ნორმის არსებული რედაქცია

თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის კომისიის არსებულ როლთან და წარმოების სხვა წესებთან.

აგრეთვე, არსებული ჩანაწერის პრაქტიკაში იმპლიმენტაცია ცხადყოფს, რომ ვერ ხდება დისციპლინური წარმოების ეფექტიანი მექანიზმის უზრუნველყოფა: მხარეებს, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ სამართლებრივი განათლება, არ ჰყავთ წარმომადგენელი და უჭირთ ან ვერ აყალიბებებენ შუამდგომლობებს.

ამასთან, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, რომელიც ასევე ინკვიზიციურობის საფუძველზე განიხილავს საჩივარს და არაერთ გადაწყვეტილებაში პალატამ განმარტა, რომ კომისიაც ინკვიზიციურია და საკუთარი ინიციატივით დაგეგმილი მოქმედებებით უნდა წყვეტდეს წარმოების საკითხებს.

ამიტომ, 28-ე მუხლის მე-13 პუნქტის არსებული რედაქცია წინააღმდეგობაში მოდის როგორც ეთიკის კომისიის საქმიანობის არსთან, ასევე სადისციპლინო პალატის ხედვასთან დისციპლინური წარმოების პროცესში ეთიკის კომისიის როლთან დაკავშირებით. შემოთავაზებული ცვლილებით კი აღდგება 2018 წლამდე არსებული წარმოების პრინციპები და კომისიის საქმიანობა გახდება მეტად ეფექტიანი.

21. 29-მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს კომისიის წევრთაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4–2 წლის ვადით ირჩევს თავად კომისია. პირი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

აღნიშნული ცვლილებით სარევიზიო კომისიის არჩევის დებულება თანხვედრაში მოდის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის დებულებებთან, რომელიც ამავე კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტშია განსაზღვრული.

22. 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან ამოღებულ იქნას „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ადვოკატი არ შეიძლება არჩეულ იქნეს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრად, თუ

~~ა) შესასრულებელი აქვს სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება;~~

~~ბ) ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში;~~

~~ბ)~~ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დადებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი ან უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შეჩერებული ან შეწყვეტილი ჰქონდა ასოციაციის წევრობა.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

აღნიშნული პუნქტი განსაზღვრავს საფუძვლებს, თუ როდის ეკრძალება ადვოკატს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრად არჩევა. შემოთავაზებული ცვლილებები ითვალისწინებს ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ჩანაწერის - **შეუსრულებელი აქვს სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება** და „ბ“ ქვეპუნქტის ჩანაწერის - **ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში** ამოღებას, რადგან პირველი მათგანი არ არის რელევანტური ამ მუხლის მიზნებთან, ხოლო მეორე არღვევს პირის უდანაშაულობის პრეზუმფციას.

23. 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. თუ ადვოკატს ვადაზე ადრე უწყდება აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილება და ეთიკის კომისიის გამოკლებული წევრის ჩანაცვლება შეუძლებელია სათადარიგო წევრით, მაშინ უახლოეს საერთო კრებაზე, უფლებამოსილების დარჩენილი ვადით აირჩევა ახალი წევრი. თუ აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობა ნახევარზე ნაკლები აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული საერთო კრება ახალი წევრების ასარჩევად.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

აღნიშნულ ცვლილებას წინამდებარე პუნქტი შესაბამისობაში მოყავს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესულ ცვლილებებთან, რომლითაც განისაზღვრა ეთიკის კომისიის 6 სათადარიგო წევრის არჩევა.

24. 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტს დაემატოს „ა[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია:
ა) გაფრთხილება;
ა[1]) საყვედური;
ბ) საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით;
გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

აღნიშნული ცვლილებით შემოთავაზებულია ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეების ჩამონათვალისთვის - **საყვედურის**, როგორც დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი სახის დამატება. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ ეთიკის კომისია იყოს

უფრო მოქნილი სახდელების გამოყენებაში და შეეძლოს დიციპლინური გადაცდომის პროპორციული სახდელის დაკისრება ადვოკატისთვის. არსებული ჩანაწერის მიხედვით კი, ეთიკის კომისიას სახდელად „გაფრთხილების“ შემდეგ მხოლოდ „საადვოკატო საქმიანობის ჩამორთმევის“ გამოყენება შეუძლია.

პროექტი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში
შესატანი ცვლილებები და შესაბამისი დასაბუთება/განმარტება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 94-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ:
ა) ადვოკატები;
ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლები – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე;
ბ[1]) სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციები - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საქმეებზე.
გ) ერთ-ერთი თანამონაწილე – დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით;
დ) სხვა ქმედუნარიანი პირები – მხოლოდ ~~პირველი ინსტანციის სასამართლოში~~ მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად საქმეებზე.

440-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პირს, რომელიც არ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ~~რომელსაც არ ჩაუბარებია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა და არ გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში,~~ ეკრძალება წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სასამართლოში~~, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში,~~ გარდა ამ კანონის 94-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ~~სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის თანამშრომლისა, – ამ ორგანოს, ორგანიზაციის საქმეზე.~~

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ნორმის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება აქვს ყველა ქმედუნარიან პირს დაკავშირებულია მართლმსაჯულებისადმი ხელმისავდომობის პრინციპის უზრუნველყოფასთან, აღნიშნული ნორმის მიღების დროს ასებული კონტექსტი განსხვავდება ამჟამინდელი ვითარებისგან.

კერძოდ, წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა უფასო იურიდიული დახმარების მანდატი და ინსტიტუციური შესაძლებლობები. ასევე, არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და საუნივერსიტეტო კლინიკა ახორციელებს უფასო იურიდიული დახმარების პროგრამებს და უახლოეს პერიოდში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზეც ამოქმედდება პრო-ბონო იურიდიული დახმარების ცენტრი. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით საადვოკატო საქმიანობას ახოროციელებს 4500-ზე მეტი პირი და აღნიშნული მომსახურების საფასურიც საკმაოდ დივერსიფიცირებულია.

ეს ყოველივე მნიშვნელოვანწილად ამსუბუქებს იმ გამოწვევას, რომელიც საფუძვლად დაედო წინამდებარე ნორმაში აღნიშნულ ჩანაწერს და ამასთანავე, დღის წესრიგში აყენებს არაკლებ მნიშვნელოვან ფუნდამენტურ უფლებასა და გამოწვევას, რაც კვალიფიციურ წარმომადგენლობასა და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებას გულისხმობს.

იმ ფონზე, როდესაც სამოქალაქო სამართალწარმოება ეფუძნება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პინციპიბებს, პრაქტიკაში ძალზედ ხშირია შემთხვევები, როდესაც პირველ ინსტანციაში არაკვალიფიცურ წარმომადგენლობას გამოუსწორებელი შედეგი მოაქვს სააპელაციო და საკასაციო ეტაპებზე. სწორედ ამ უარყოფითი შედეგის თავიდან ასაცილებლად კანონმდებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლში გაითვალისწინა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც - **„სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისთვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები“**. თუმცა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლოს მხრიდან აღნიშნული უფლების გამოყენება იშვიათია, რაც ხშირ შემთხვევაში განაპირობებს პირის არაკვალიფიცურ წარმომადგენლობას.

სწორედ აღნიშნული თემა იყო 2018 წლის 8-9 ნოემბრის ‘თბილისის საერთაშორისო კონფერენციის’ ფარგლებში განხილული საკითხი, რომელსაც ათზე მეტი ქვეყნის იურიდიული პროფესიის მაღალი რანგის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციის ფარგლებში ერთხმად მიღებული რეკომენდაციის თანახმად:

„(ა) კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ იურიდიული მომსახურება განახორციელოს ადვოკატმა, რადგან:

- **(i) გარანტირებულია ადვოკატის დამოუკიდებლობისა და პროფესიული საიდუმლოების პრინციპები;**
- **(ii) მათ აქვთ შესაბამისი განათლება და მუდმივად გადიან პროფესიულ სწავლებას;**

(iii) **მათ ეთიკურ ვალდებულებებს ზედამხედველობს ადვოკატთა ასოციაცია, რომელმაც ადვოკატთა მიმართ შეიძლება დააწესოს დისიპლინური სანქციები, როდესაც ისინი არღვევენ პროფესიულ ვალდებულებებს.**

(ბ) სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ მართლმსაჯულებაზე და მისცეს ამ უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა იმ მოქალაქეებს, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი ფინანსური რესურსები მიიღონ პროფესიული სამართლებრივი კონსულტაცია და წარმომადგენლობა ადვოკატის მიერ.“

ძალზედ საგულისხმოა აღნიშნული რეკომენდაციების „ა“ პუნქტის „iii“ ქვეპუნქტში მოცემული საკითხი. კერძოდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართავს სავარაუდო არაკვალიფიციური წარმომადგენლობით დაზარალებული კლიენტი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ეთიკის კოდექსი და „დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის წევრებზე ვრცელდება, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეისწავლოს აღნიშნული განცხადებები, რაც, ალბათობის მაღალი ხარისხით, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს პირთა ინტერესებს.

ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ წინამდებარე მუხლის მოქმედი რედაქცია დიდ საფრთხეს უქმნის იმ პირთა უფლებებს, რომელთაც ესაჭიროებათ სასამართლოში წარმომადგენლობა. კერძოდ, ერთის მხრივ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი აწესებს მოთხოვნებს, რომელიც წაეყენება ადვოკატობის მსურველ პირს, მათ შორის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ **„ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრები მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი...“** და ამასთანავე, კანონი ითვალისწინებს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერება-შეწყვეტის მექანიზმებს. მეორე მხრივ კი, წინამდებარე მუხლის მოქმედი რედაქცია ნებისმიერ, მათ შორის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევ პირს, ანიჭებს უფლებას მხარე წარმოადგინოს სასამართლოში. იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ამ საკითხის კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები (რაც სახეზეა ადვოკატთა ასოციაციის წევრების შემთვევაში), იქმნება რეალური რისკი, რომ წარმომადგენლობის უფლების ბოროტად გამოყენებით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს მხარის კანონიერ ინტერსებსს და მთლიანად მართლმსაჯულების ხარისხს, სანდოობას და რეპუტაციას.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2020 წლის 21 მაისს კანონმდებელმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც კოდექსს დაემატა შემდეგი შინაარსის 5[1] მუხლი - **„არასრულწლოვანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებული მოსამართლე, ადვოკატი, სოციალური მუშაკი ან/და არასრულწლოვანის საჭიროებების გათვალისწინებით მოწვეული სხვა შესაბამისი**

სპეციალისტი“. მისასალმებელია და მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში კანონმდებელმა გაითვალისწინა არასრულწლოვანის ინტერესების კვალიფიციური დაცვისა და წარმომადგენლობის აუცილებლობა, რომლის გათვალისწინებაც ასევე მნიშვნელოვანია ნებისმიერ სხვა პირებთან და პირთა უფლებების დაცვასთან მიმართებითაც.

აქვე ხაზგასასმელია ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია, რომელმაც თავის 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებაში *„მოლდავსკა უკრაინის წინააღმდეგ“* აღნიშნა, რომ **„ ... ადვოკატის თავისუფალი არჩევანის უფრო მკაცრი შეზღუდვაც კი, როგორიცაა - ყველა ინსტანციის სასმართლოს წინაშე მხოლოდ ლიცენზიის მქონე ადვოკატის წარმომადგენლობის მოთხოვნა, თავისთავად არ წარმოშობს საკითხს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, იმდენად რამდენადაც პირის ეფექტიანად დაცვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საჭირო იყოს სპეციფიური იურიდიული კვალიფიკაციის ქონა.“**

ყოველივე ზემოაღნიშნული დღის წესრიგში აყენებს იმგვარი ბალანსის პოვნის საჭიროებას, რომელიც ერთის მხრივ არ იქონიებს მკვეთრ უარყოფით ზეგავლენას სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებაზე, მაგრამ ამავდროულად უზრუნველყოფს კვალიფიციურ სასამართლო წარმომადგენლობასა და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, რაც საფუძვლად უდევს შემოთავაზებულ ცვლილებებს.

53-ე მუხლის 1-ელი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის ~~გაწეულ~~ განსაზღვრულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს წარმომადგენელთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების ოდენობის ნახევრისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში და ისეთ საქმეებზე, სადაც შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა წარმომადგენელთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 50 000

ლარისა. ~~გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.~~

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

მხარის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა თავისი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით შესაბამის ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც გულისხმობს როგორც სასამართლო, ისე სასამართლოს გარეშე ხარჯებს. სასამართლოს გარეშე ხარჯებში ასევე იგულისხმება ადვოკატის მომსახურებისთვის განსაზღვრული/გათვალისწინებული ხარჯები. მხოლოდ დარღვეული უფლების ნაწილში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით შეუძლებელია სრულად მოხდეს მხარის უფლებების აღდგენა და ინტერესების დაცვა. აუცილებელია გონივრულ ფარგლებში მოხდეს იმ მხარის მიერ, მათ შორის, ადვოკატის დახმარებისათვის განსაზღვრული ხარჯების ანაზღაურება, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება.

მოქმედი საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, **იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებულ იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.**

თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

კანონმდებლობა, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს მხარისთვის დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მეორეს მხრივ კი, ითვალისწინებს იმასაც, რომ სასამართლოში საქმისწარმოება გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მეორე მხარეს აკისრებს იმ ხარჯების ანაზღაურებას, რაც გასწია უფლებადარღვეულმა მხარემ.

დარღვეული უფლების აღდგენა, თავისთავად, გულისხმობს არა მხოლოდ ამ უფლების აღდგენას, არამედ იმ დანახარჯების კომპენსირებასაც, რაც დარღვეული

უფლების აღდგენისთვის იქნა განსაზღვრული. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება მოქმედი საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მართალია კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლებადარღვეული მხარის სასარგებლოდ სამართალწარმოებისას განსაზღვრული ხარჯების კომპენსირებას, თუმცა, თანამედროვე პირობებში, საადვოკატო მომსახურების საბაზრო ღირებულებებისა და ტარიფების გათვალისწინებით, აღნიშნული დანაწესი საჭიროებს გარკვეულ კორექტირებებს.

პირველ რიგში, იმისათვის, რომ კანონმდებლის მიზანი, კერძოდ: უფლებადარღვეული მხარისთვის სასამართლოს გზით საკუთარი უფლების აღდგენა და ამ უფლების აღდგენისთვის განსაზღვრული ხარჯების კომპენსირება, მიღწეულ იქნას, აუცილებელია მხარეს აუნაზღაურდეს ადვოკატის დახმარებისთვის განსაზღვრული ხარჯები მასსა და ადვოკატს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, გონივრული ფარგლების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლებადარღვეული მხარისთვის ვერ იქნება გარანტირებული საკუთარი უფლების განხორციელება. იარსებებს რისკი იმისა, რომ კვალიფიციური საადვოკატო მომსახურებისთვის უფლებადარღვეული მხარე გაიღებს ისეთ ხარჯებს, რომლის შედეგადაც მისთვის დარღვეული უფლების აღდგენა და შესაბამისად სასამართლოსთვის მიმართვა დაკარგავს აზრს ან/და არ იქნება მომგებიანი ან/და ვერ მოხდება მისი უფლების სრულყოფილი განხორციელება. შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციის, მხარეთათვის დარღვეული უფლებების აღდგენის, განხორციელების საკითხი.

შემოთავაზებული ცვლილების მიზანია მხარის უპირატესი ინტერესების დაცვა. მხარე სასამართლოს მიმართავს დარღვეული უფლების აღსადგენად, შესაბამისად მას უკვე აქვს ქონებრივი, თუ არაქონებრივი დანაკარგი. სასამართლოში საქმის წარმოება კი მოითხოვს დამატებით ხარჯებს. მართალია, თუ მხარის მოთხოვნას დააკმაყოფილებს სასამართლო ის დარღვეულ ძირითად უფლებას აღიდგენს, მაგრამ ის ხარჯები, რაც გაღებული უნდა იქნეს ადვოკატის მომსახურებისთვის, აუნაზღაურდება არასრულად, ძალიან მცირე ოდენობით. კანონპროექტის მიზანი კი სწორედ არსებული მდგომარეობის გამოსწორებაა. კანონპროექტის ჩანაწერი **„იმ მხარის ადვოკატის დახმარებისათვის განსაზღვრულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს ადვოკატთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების ოდენობის ნახევრისა“,** იძლევა მინიმალურ სტანდარტს, რომელიც მხარის ინტერესებს ყველაზე წინ აყენებს. პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში უკვე მხარეს ეძლევა საშუალება სრულად აინაზღაუროს სასამართლო პროცესის წარმოებისათვის განსაზღვრული დამატებითი ხარჯები. შესაბამისად, მხარეს ეძლევა შესაძლებლობა აღიდგინოს როგორც დარღვეული

უფლებები, ასევე აინაზღაუროს დარღვეული უფლებების აღდგენისთვის განსაზღვრული ხარჯებიც.

შემოთავაზებული ცვლილების ჩანაწერის მეორე ნაწილი **„არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების ოდენობის ნახევრისა“** თავის მხრივ ემსახურება იმას, რომ არ იქნას წახალისებული არაკეთილსინდისიერი მოქმედებების განხორციელება მხარეთა მიერ, მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით და თავიდან იქნეს არიდებული არაგონივრული და რეალობას აცდენილი შეთანხმებების გაფორმება.

შემოთავაზებული ცვლილება, ასევე, ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა საქმე გვაქვს არაქონებრივ დავასთან, ან ისეთ საქმეებზე, რომლებშიც დავის საგნის ფასის განსაზღვრა შეუძლებელია: **”არაქონებრივი დავის შემთხვევაში ან ისეთ საქმეებზე, რომლებშიც შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა - ადვოკატთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 50 000 ლარისა.“** ამ შემთხვევაში ხარჯების ანაზღაურება მოხდება ადვოკატთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 50 000 ლარის ოდენობისა. კანონპროექტის ეს დებულება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან საკმაოდ რთულია არაქონებრივ დავებში ხარჯების ანაზღაურების საკითხის განსაზღვრა. შესაბამისად, კანონპროექტი იძლევა მინიმალურ სტანდარტს, რაც გააადვილებს ხარჯების ანაზღაურებასთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღებას ზემოხსენებული დავების არსებობის შემთხვევაში. მეორეს მხრივ, კანონპროექტი ითვალისწინებს მსგავსი ტიპის დავებისას ანაზღაურების ზედა ზღვარსაც, რაც ასევე გამორიცხავს მხარეთა მიერ არაკეთილსინდისიერი განზრახვებით არაგონივრული და რეალობას აცდენილი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმებას.

შემოთავაზებულ ცვლილებას აქვს იმის პოტენციალი, რომ მხარის ინტერესები გაცილებით მაღალ საფეხურზე დააყენოს. ცვლილება მოიცავს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ დავებს, შესაბამისად, მხარეს რა ხასიათის დავაც არ უნდა ჰქონდეს სასამართლოში, მას ექნება შესაძლებლობა, რომ ადვოკატის მომსახურებისთვის განსაზღვრული ხარჯები აუნაზღაურდეს სრულად, გონივრული ფარგლების გათვალისწინებით.

2. 98-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. მხარის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან მის სტაჟიორს ან თანაშემწეს.

<u>ცვლილების საფუძელი:</u>

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესული ცვლილებების საფუძველზე, 2019 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომლის გავლაც ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო კომპონენტია და რომელიც 3-თვიანი თეორიული კურსისა და 9-თვიანი სტაჟირებისგან შედგება.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში საადვოკატო საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიაში სათანადოდ მომზადებული პროფესიონალების შემოსვლის გზით. აღსანიშნავია, რომ 9-თვიანი სტაჟირება პროფესიული მომზადების სწორედ ის საფეხურია, როდესაც ადვოკატობის მსურვლემა პირმა, მენტორი ადვოკატის ზედამხედველობის ქვეშ, უნდა შეიძინოს მაქსიმალური პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები, რისთვისაც უღრესად მნიშვნელოვანია მისი ჩართვა და მონაწილეობა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებში.

მიუხედავად იმისა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები მიზნად ისახავდა ადვოკატის სტაჟიორის როლის გაზრდის გზით პროფესიაში შემოსვლისთვის პირთა სათანადოდ მომზადებას, შესაბამისი თანმდევი ცვლილებები არ განხორციელებულა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში.

აღნიშნული ქმნის იმგვარ მოცემულობას, რომ ადვოკატის სტაჟიორს, გარდა უმნიშვნელო ტექნიკური დავალებების შესრულებისა, არ აქვს არანაირ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება და შესაძლებლობა, მაშინ როცა ადვოკატის თანაშემწეს (რომელიც შეიძლება იურისტიც კი არ იყოს) კანონის მოქმედი დანაწესით გააჩნია აღნიშნული უფლებამოსილება. მოცემული ვითარება კი განაპირობებს იმას, რომ პრაქტიკაში ვერ ხორციელდება პროფესიული ადაპტაციის ის მიზნები, რომელიც საფუძვლად დაედო 2018 წლის 4 მაისის ცვლილებებს და შესაბამისად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამა იქცევა ფორმალურ მექანიზმად და ვერ უზრუნველყოფს სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ პირთა შემოსვლას საადვოკატო პროფესიაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად გაიზაროდოს სტაჟიორის საპროცესო უფლებამოსილებები.

პროექტი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებები და შესაბამისი დასაბუთება/განმარტება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (სსმ 31, 03/11/2009) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მე-3 მუხლს დაემატოს 9[1] ნაწილი შემდეგი რედაქციით:

9[1]. ადვოკატის სტაჟიორი - „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული პირი, რომელიც ადვოკატის დავალებით ახორციელებს ადვოკატის ცალკეულ უფლებამოსილებას.

41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.

2. ადვოკატს შეუძლია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს მის სტაჟიორს.

44-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და ადვოკატის მოწმობას, ხოლო ადვოკატის სტაჟიორი - ადვოკატის მიერ სტაჟიორზე გაცემულ ორდერს და სტაჟიორის მოწმობას.

<u>ცვლილებების საფუძელი:</u>

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესული ცვლილებების საფუძველზე, 2019 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომლის გავლაც ადვოკატის პროფესიაში შესვლის

სავალდებულო კომპონენტია და რომელიც 3-თვიანი თეორიული კურსისა და 9-თვიანი სტაჟირებისგან შედგება.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში საადვოკატო საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიაში სათანადოდ მომზადებული პროფესიონალების შემოსვლის გზით. აღსანიშნავია, რომ 9-თვიანი სტაჟირება პროფესიული მომზადების სწორედ ის საფეხურია, როდესაც ადვოკატობის მსურვლემა პირმა, მენტორი ადვოკატის ზედამხედველობის ქვეშ, უნდა შეიძინოს მაქსიმალური პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები, რისთვისაც უღრესად მნიშვნელოვანია მისი ჩართვა და მონაწილეობა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებში.

მიუხედავად იმისა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები მიზნად ისახავდა ადვოკატის სტაჟიორის როლის გაზრდის გზით პროფესიაში შემოსვლისთვის პირთა სათანადოდ მომზადებას, შესაბამისი თანმდევი ცვლილებები არ განხორციელებულა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

აღნიშნული ქმნის იმგვარ მოცემულობას, რომ ადვოკატის სტაჟიორს, გარდა უმნიშვნელო ტექნიკური დავალებების შესრულებისა, არ აქვს არანაირ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება და შესაძლებლობა. მოცემული ვითარება კი განაპირობებს იმას, რომ პრაქტიკაში ვერ ხორციელდება პროფესიული ადაპტაციის ის მიზნები, რომელიც საფუძვლად დაედო 2018 წლის 4 მაისის ცვლილებებს და შესაბამისად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამა იქცევა ფორმალურ მექანიზმად და ვერ უზრუნველყოფს სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ პირთა შემოსვლას საადვოკატო პროფესიაში.

ასევე საგულისხმოა, რომ აღნიშნულისგან რადიკალურად განსხვავებული მოცემულობაა პროკურატურის სტაჟიორთან მიმართებით, რაც კანონით განსაზღვრული პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეებს არათანაბარ პირობებში აყენებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად გაიზაროდოს ადვოკატის სტაჟიორის საპროცესო უფლებამოსილებები. აღნიშნული ჩანაწერი მსგავსია საქართვლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მეორე ნაწილის ჩანაწერისა.

პროექტი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებები და შესაბამისი დასაბუთება/განმარტება

ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

დაემატოს 44^{13} მუხლი შემდეგი რედაქციით:

$44^{13.}$ უკანონო საადვოკატო საქმიანობა

1. ადვოკატის სტატუსის გამოყენებით იურიდიული საქმიანობა იმ პირის მიერ, ვინც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის გაწევრიანებული სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას პირველად შეფარდებული ჯარიმის გაორმაგებული ოდენობით.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

ბოლო პერიოდში, გახშირდა შემთხვევები, როდესაც ის პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები, ადვოკატის სტატუსის გამოყენებით ახორციელებენ იურიდიულ მომსახურებას - მაგალითად, საოფისე ფართთან შესაბამისი წარწერის აბრის გამოყენების, სოციალურ ქსელებზე შესაბამისი ინფორმაციის გავრცელების ან/და პოტენციურ კლიენტთან ადვოკატის სტატუსით კომუნიკაციის დამყარების გზით.

გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსმა მავნე პრაქტიკამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს იმ პირთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, რომლებიც იურიდიულ დახმარებასა და კვალიფიციურ საადვოკატო მომსახურებას საჭიროებენ, ევროკავშირის არაერთ ქვეყანაში აღნიშნული მომსახურების გაწევა ადვოკატის სტატუსის გამოყენებით წარმოადგენს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში დასჯად ქმედებას.

მაგალითად, ავსტრიის ადვოკატთა აქტის 57-ე და 58-ე პარაგრაფების თანახმად, როდესაც პირი შესაბამისი ლიცენზიის გარეშე სარგებლობს ადვოკატის სტატუსით ანდა სთავაზობს სერვისებს, რაც ექსკლუზიურად განეკუთვნება ადვოკატის

უფლებამოსილებას, იგი ჩადის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ჯარიმდება 10.000 და 16.000 ევროს ოდენობით შესაბამისად.

ჩეხეთის რესპუბლიკის იურიდიული პროფესიის აქტის მე-9 ნაწილის თანახმად, ფიზიკური ან იურიდიული პირი, თუ ის არაერთჯერადად განახორციელებს ისეთ იურიდიულ მომსახურებას, რომლისთვისაც მას არ გააჩნია შესაბამისი ავტორიზაცია ან გამოიყენებს ადვოკატის სტატუსს შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე, იგი დაჯარიმდება 30.000 ან 200.000 კრონით შესაბამისად.

აგრეთვე, საფრანგეთის იურიდიული და სამართლის პროფესიის შესახებ კანონის 72-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი პირი, ვინც არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ახორციელებს საქმიანობას, რომელიც მხოლოდ ადვოკატისთვის არის ნებადართული ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 433-17 მუხლის შესაბამისად. ამასთან, იტალაისა და ესპანეთშიც ადვოკატის სტატუსის უკანონო გამოყენებით იურიდიული მომსახურების გაწევა დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსით.

შემოთავაზებული ცვლილებები მიზნად ისახავს აღნიშნული სფეროს რეგულირებას ევროკავშირის პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად, რათა არ მოხდეს იურიდიული სერვისების მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა და მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევა. მსგავსი მიდგომა კანონმდებლის მიერ უკვე გამოყენებულია სხვადასხვა ლიზენზირებას დაქვემდებარებულ საქმიანობაზე, მაგალითად ამავე კანონის 44² მუხლი - უკანონო სამედიცინო/საექიმო საქმიანობა.

პროექტი

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და შესაბამისი დასაბუთება/განმარტება

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში (სსმ, 46, 22/12/2009) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნას:

1. ნოტარიუსი ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:
ა) კანონით დადგენილ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით ადასტურებს გარიგებებს;
ბ) გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას;
გ) გასცემს მემკვიდრეობის უფლების მოწმობას;
დ) გასცემს მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას;
ე) იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;
ვ) ამოწმებს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან;
ზ) ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას;
თ) ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს;
ი) ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;
კ) ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
ლ) ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;
მ) ადასტურებს დოკუმენტის წარდგენის დროს;
ნ) გადასცემს პირის განცხადებას და ცნობას სხვა პირს;
ო) დეპოზიტში იღებს ფულს, ფასიან ქაღალდებსა და ფასეულობებს;
პ) გასცემს სააღსრულებო ფურცელს;
ჟ) ასრულებს თამასუქის პროტესტს;
რ) გასანაღდებლად წარადგენს ჩეკს და ადასტურებს ჩეკის გაუნაღდებლობას;
ს) შესანახად იღებს დოკუმენტებს;
ტ) ასრულებს საზღვაო პროტესტს.
2. ამ კანონით გათვალისწინებული სანოტარო მოქმედებების გარდა, ნოტარიუსი ასრულებს აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სანოტარო მოქმედებებს.
3. სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით ნოტარიუსი სამართლებრივ კონსულტაციას უწევს პირებს და მათი თხოვნით ადგენს დოკუმენტების პროექტებს.

~~4. ნოტარიუსი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული სანოტარო მოქმედების შესრულებასთან.~~

4[1] . ნოტარიუსს აქვს ნივთის საჯაროდ შეთავაზების უფლება. ნივთის საჯაროდ შეთავაზება ხდება ელექტრონული აუქციონის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. საჯარო შეთავაზების ფორმებს, აგრეთვე საჯარო შეთავაზებისათვის გამოყენებულ ელექტრონულ საშუალებებს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი. ნივთის საჯაროდ შეთავაზების უფლებიდან გამომდინარე, ნოტარიუსი ასევე უფლებამოსილია კონსულტაცია გაუწიოს დაინტერესებულ მხარეს.

5. ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნის, ქონებაზე უფლების გადაცემის, აგრეთვე დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევის მოთხოვნის საფუძველზე, თუ ამაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები.

<u>ცვლილების საფუძველი:</u>

მაშინ, როდესაც წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტი განსაზღვრავს სანოტარო საქმიანობის თითქმის ამომწურავ ჩამონათვალს და ამასთან, მე-2 და მე-3 პუნქტებით აზუსტებს, რომ ნოტარიუსს უფლება აქვს განახორციელოს სხვა ისეთი მოქმედებები და გასწიოს ისეთი სამართლებრივი კონსულტაცია, რომელიც დაკავშირებულია სანოტარო სამიანობასთან, ბუნდოვანია თუ რა მიზანს ემსახურება მე-4 პუნქტით ნოტარიუსისთვის მინიჭებული იმგვარი ფართო უფლებამოსილება, რომელიც მისი მხრიდან ნებისმიერი სახის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას გულისხმობს. მსგავსი ზოგადი ჩანაწერი შეიცავს რისკს, რომ ნოტარიუსმა განახორციელოს იმგვარი საქმიანობა, რომელიც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად განეკუთვნება საადვოკატო საქმიანობას, რომელიც რეგულირდება შესაბამისი სტანდარტებითა და ეთიკის კოდექსით. საკანონმდებლო ჩანაწერით უფლებამოსილებების ამგვარი აღრევა არ ემსახურება სამართლებრივი სერვისებით მოსარგებლზე პირთა ინტერესებს, რადგან მათთვის წინასწარ და ნათლად უნდა იყოს ცნობილი თუ რა მომსახურება შეიძლეება მიიღონ ნოტარიუსის ანდა ადვოკატის მხრიდან და აღნიშნული მომსახურების ფარგლებში მათი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში თუ რა სამართლებრივი ბერკეტები გააჩნიათ უფლებრივი მდგომარეობის აღდგენისთვის.

პროექტი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და შესაბამისი დასაბუთება/განმარტება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (ვებგვერდი, 16/01/2012) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. ამ კანონის (გარდა მე-17 მუხლისა) მოქმედება არ ვრცელდება მონაცემთა მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამუშავებაზე, ადვოკატის მიერ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, აგრეთვე მონაცემთა სახელოვნებო და ლიტერატურული მიზნებისთვის დამუშავებაზე.

<u>ცვლილების საფუძველი</u>

ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როდესაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დებულებების იმგვარი განმარტება ხდება, რაც ადვოკატის მიერ მოპოვებული ინფორმაციის კლიენტის დაცვის ლეგიტიმური მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობას ზღუდავს.

მაშინ როდესაც წინამდებარე პუნქტი ამავე კანონის მოქმედებიდან გამონაკლისს აწესებს საზოგადოების ინფორმირების, სახელოვნებო და ლიტერატურული მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე, აუცილებელია, რომ მსგავსი გამონაკლისი არსებობდეს პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების ეფექტიანად და კვალიფიციურად დაცვის მიზნებისთვისაც.

ადვოკატის საქმიანობასთან მიმართებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დებულებათა განმარტებისას, პირის პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესი შესაძლოა დაუპირისპირდეს დაცვის უფლების, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და სამართლიანი სასამართლოს უფრო მაღალ საჯარო ინტერესს. ამ ფონზე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში უნდა არსებობდეს იმგვარი ჩანაწერი, რომელიც უზრუნველყოფს პირთა ამ ფუნდამენტური უფლებების დაცვას.

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადვოკატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „ადვოკატის შესახებ“ სპეციალური კანონითა და პროფესიული

ეთიკის ნორმებით, რომლის ფარგლებშიც მისი მთავარი უფლება და ვალდებულებაა კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

პროექტი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და შესაბამისი დასაბუთება/განმარტება

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/05/1998) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მე-5 მუხლს დაემატოს ჰ[1] პუნქტი შემდეგი რედაქციით:

საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ჰ[1)] ადვოკატი - სარჩელებზე, რომელიც გამომდინარეობს საადვოკატო ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ჰონორართან დაკავშირებულ დავებზე.

<u>ცვლილების საფუძველი</u>

ადვოკატის ანაზღაურება სრულად არის დამოკიდებული ადვოკატსა და კლიენტს შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ჰონორარზე. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად შესრულების მიუხედავად, კლიენტის მხრიდან არ ხდება ჰონორარის გადახდა.

ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი იძულებულია მიმართოს სასამართლოს კლიენტის მხრიდან ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, რა დროსაც ადვოკატს მოეთხოვება სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

იმ ფონზე, როდესაც ადვოკატს ჯერ არ მიუღია შესაბამისი ფინანსური ანაზღაურება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ არის დასაქმებული მსხვილ საადვოკატო ბიუროში, არ აქვს სხვა რეგულარული შემოსავალი ან მოცემულ პერიოდში არ უწევს საადვოკატო მომსახურებას რამდენიმე კლიენტს, ჰონორართან დაკავშირებულ სასამართლო დავაზე მისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების ვალდებულებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს მისი უფლებები და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე ცვლილებით ადვოკატი გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო დავის გადაწყვეტის შემდეგ სახელმწიფო ბაჟის გადახდის/განაწილების საკითხი გადაწყდეს საერთო წესით.